

ჟანგვის რიცხვი-1

გვარი-----ჯგუფი-----თარიღი-----

1. VII^ა ჯგუფის ელემენტების ჟანგვის დადებითი რიცხვები, შესაბამისად, არის:

- ა. +1,+2,+3,+5
- ბ. +1,+3,+5,+7
- გ. +1,+2,+5,+6
- დ. +3,+5,+7,+9

2. VI^ა ჯგუფის ელემენტების ჟანგვის დადებითი რიცხვები, შესაბამისად, არის:

- ა. +1,+2,+3
- ბ. +1,+3,+5
- გ. +2,+4,+6
- დ. +2,+3,+5

3. V^ა ჯგუფის ელემენტების ჟანგვის უარყოფითი რიცხვი, შესაბამისად, არის:

- ა. -1
- ბ. -3
- გ. -5
- დ. -7

4. VI^ბ ჯგუფის ელემენტების ჟანგვის უარყოფითი რიცხვი, შესაბამისად, არის:

- ა. -2
- ბ. -3
- გ. -5
- დ. -7

5. წყალბადის ჟანგვის რიცხვი ნაერთთა უმრავლესობაში არის:

- ა. +1
- ბ. -1
- გ. +2
- დ. +5

6. წყალბადის ჟანგვის რიცხვი მეტალთა ჰიდრიდებში არის:

- ა. +1
- ბ. -1
- გ. +2
- დ. +5

7. ჟანგბადის ჟანგვის რიცხვი პეროქსიდებში არის:

- ა. +1
- ბ. -1
- გ. +2
- დ. -2

8. ჟანგბადის ჟანგვის რიცხვი ფთორთან ნაერთში არის:

- ა. +1
- ბ. -1
- გ. +2
- დ. -2

9. V^ა ჯგუფის ელემენტის - დარიშხანის დამახასიათებელი ჟანგვის რიცხვებია: +1, +3, +5. შესაბამისი ოქსიდების ქიმიური ფორმულებია:

- ა. As_2O , As_2O_3 , AsO_3
- ბ. As_2O , As_2O_3 , As_2O_5
- გ. As_2O , As_2O_3 , As_2O_5
- დ. As_2O_3 , As_2O_7 , AsO_3

10. ქრომისათვის დამახასიათებელი ჟანგვის რიცხვებია: +2, +3, +6. შესაბამისი ოქსიდების ქიმიური ფორმულებია:

- ა. Cr_2O , Cr_2O_3 , CrO_3
- ბ. CrO , Cr_2O_3 , CrO_3
- გ. Cr_2O , Cr_2O_5 , CrO_3
- დ. CrO , Cr_2O_3 , Cr_2O_5

11. ნახშირბადისათვის დამახასიათებელია ჟანგვის რიცხვები +4-ისა და -4-ის ტოლია. შესაბამისი ნაერთების ქიმიური ფორმულებია:

- ა. CO , CH_4
- ბ. CO_2 , CH_4
- გ. CO , C_2O_4
- დ. CO_2 , CH_4

12. მარტივ ნივთიერებებში ატომის ჟანგვის რიცხვია:

- ა. 0
- ბ. +1
- გ. -1
- დ. +5

პასუხები:

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ბ	გ	ბ	ა	ა	ბ	ბ	გ	გ	ბ	ბ	ა

მშენებლობის